სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება № 30

ზემო წინსვლა 25 დეკემბერი 2015 წ.

ერთის მხრივ *სსიპ სოფ. ზემო წინსვლის სკოლა* (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი *დირექტორის მ/შ რუსუდან ფაღავას* სახით და მეორეს მხრივ, *შპს „ივიჯი"* „მიმწოდებელი", წარმოდგენილი ედნარ გელაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" თანახმაა შემსყიდველს მიაწოდოს სამეურნეო საქონელი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 30 (ოცდაათი ლარი) ლარს

1.2,2. ლაზერული კარტრიჯის აღდგენა 2 ცალი (CPV კოდი: 30100000) ღირებულებით 30 ლარს

1.3 საქონლის ერთეულის ფასი და პარამეტრები განისაზღვრება „ დანართი N1-ით"

2. საქონელის მიღება – ჩაბარება და მიწოდების ვადა

2.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ.

2.2. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

2.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის ხარისხისა და წუნდების მიზეზის მითითებით

2.4. საქონლის მიწოდება განხორციელდეს 2015წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კარტრიჯის შევსება და პროცესორის ბატარეების შეძენა

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს *-30 (ოცდაათი-) ლარს.*

CPV კოდი: 30100000

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების (საშემოსავლო გადასახადის) გათვალისწინებით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ ეტაპობრივად.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონელის ან მისი ნაწილის შესყიდვა შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

4.3 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან შესრულებულ სამუშაოზე.

4.4 საქონელი ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს *გუღალტერი ეთერ სისოშვილი*

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული სააქონლის ხარისხის კონტროლს.

6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით
დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაშიმეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს *2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლოთ..*

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
სსიპ სოფ. ზემო წინსვლის სკოლა
მის. ხელვაჩაური, სოფ. ზემო წინსვლა
ტელ. 877 30 42 54
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია„ ბათუმის ფილიალი
ს/კ 248386731
ბ/კ UGEBGE22
ანგ. ნომერი GE32VT5500000001573408
დირექტორის მ/შ რ. ფალავა

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

შპს: „ივიჯი „
მის: ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის 66

ბანკო რეკვიზიტები
ს/ს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია„ ბათუმის ფილიალი
ს.კ 245439271
ბ/კ UGEBGE22
ანგ# GE32VT5500000009863602
დირექტორი

(ხელმოწერა)

დანართი № 3

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1	კარტრიჯის შევსება	2	30	30

შემსყიდველი

სოფ. ზემო წინსვლის საჯარო სკოლის

დირექტორის მ/მ რუსუდან ფაღავა

მიმწოდებელი

შპს „ივიჯი"

დირექტორი ედნარ გელაძე

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0213914565

2	25/12/2015

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	11:26:35

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს ივიჯი	245439271

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლა	248386731

მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის N66

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	ხელვაჩაური ზემო წინსვლა

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	სხვა

ტრანსპორტირების სახე

10	X

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი
	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	ლაზერული კარტრიჯის შევსება(ტონერი)	15	ცალი	2.0000	15.0000	30.0000

13	30 - ოცდაათი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (ტანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების		

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი)

19	უნაღდო ანგარიშსწორება

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 25/12/2015, 17:27:48